

რუსულად სალინაძე /ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
 ჰარუნ ჩიმქე /თურქეთი, რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი/

### თურქულენოვანთათვის ქართული სახელის პარადიგმის სწავლების პრობლემა

სტატია ეხება განსხვავებული ბრუნვების მქონე სახელთა ფორმების გადმოცემასთან დაკავშირებულ პრობლემებს თურქულად მოლაპარაკე ქართველისა და, პირიქით, ქართულად მოსაუბრე თურქის მეტყველებაში. ნაშრომში მოცემულია მცდელობა ამ პრობლემათა დაძლევის გზების ძიებისა და განხილულია მხოლოდ მოთხრობითი და წოდებითი, ანუ ისეთი ბრუნვები, რომლებიც ქართულში არის და თურქულს არ გააჩნია.

საკვანძო სიტყვები: ქართული, თურქული, ბრუნვები, მოთხრობითი, წოდებითი.

მრავალფეროვანი და მეტად საინტერესო ბუნების, აგებულების მქონე ქართული ენის შესწავლის პროცესში უცხოელთათვის და, მათ შორის, თურქულენოვანთათვის მრავალი პრობლემა იჩენს თავს. ზმნასთან შედარებით თითქოს მარტივია სახელი, როგორც აკ. შანიძე მიუთითებდა, მაგრამ ორი სხვადასხვა სისტემის ენის შეხვედრისას, ბუნებრივია, აღქმისა და ათვისების ეტაპი ან შენელებულია, ან - დაჩქარებული იმის მიხედვით, რამდენად ვახერხებთ სწავლების გამარტივებულ, დახვეწილ მეთოდების შემუშავებასა თუ გამოყენებას.

ბრუნვათა რაოდენობა განსხვავებულია ქართულსა და თურქულში. ვგულისხმობთ ტრადიციულ გრამატიკებში არსებულ ბრუნვებს, რის მიხედვითაც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არის შვიდი ბრუნვა (სახელობითი-ი, მოთხრობითი --მა/ -მ, მიცემითი --ს, ნათესაობითი --ის, მოქმედებითი --ით, ვითარებითი -აღ/-დ, წოდებითი --ო/-ვ), თურქულში კი - რვა: 1. სახელობითი - ევ (სახლი); 2. ბრალდებითი აევი (სახლს - სახლი); 3. მიცემითი - ევი (სახლს); 4. ადგილობითი - ევდე (სახლში/-ზე); 5. გამოსვლითი - ევდენ (სახლიდან); 6. ნათესაობითი - ევინ (სახლის); 7. Vasita Hali-პირდაპირ ითარგმნება, როგორც საშუალება (ეს ბრუნვა ქართულის მოქმედებითი ბრუნვის შესატყვისია); 8. E itlik Hali (ლათ. Ekvativ, მათანასწორებელი) - ვითარებითი (Z. Korkmaz 2009: 266).

ორივე ენისათვის საერთო ბრუნვებია: სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი.

განსხვავებულ ბრუნვებში გამოიყოფა:

ა) ბრუნვები, რომლებიც ქართულში არის და თურქულს არ გააჩნია. ასეთია მოთხრობითი და წოდებითი;

ბ) ბრუნვები, რომლებიც თურქულში არის და ქართულს არ გააჩნია. ასეთია: ბრალდებითი, ადგილობითი და გამოსვლითი.

საინტერესოა განსხვავებული ბრუნვების მქონე სახელთა ფორმების გადმოცემა ქართულსა და თურქულში. ასეთი ბრუნვების გამოყენებისას თავს იჩენს წინააღმდეგობები თურქულად მოლაპარაკე ქართველისა და, პირიქით, ქართულად მოსაუბრე თურქის მეტყველებაში. ამგვარი განსხვავების საფუძველზე გაჩენილი პრობლემები, ცხადია, ართულებს, ანელებს კიდევ ენის შესწავლის პროცესს. ჩვენი მიზანიც სწორედ ამ პრობლემათა დაძლევის გზების ძიებაა. ამჯერად შევეხებით მხოლოდისეთ ბრუნვებს, რომლებიც ქართულში არის და თურქულს არ გააჩნია, ანუ მოთხრობითსა და წოდებითს.

• **მოთხრობითი**

როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, ქართულისათვის თავისებური მოვლენაა ერგატიული კონსტრუქცია. მოთხრობითი ბრუნვა არ გააჩნია არც რუსულ და არც ევროპულ ენებს. მათთან შედარებით ქართულს აკლია ბრალდებითი და მეტი აქვს მოთხრობითი. გრამატიკოსთა გარკვეული ნაწილი ცდილობდა, რომ ბრალდებითის ცარიელ ადგილას მოეთავსებინა მოთხრობითი. ეს არნ. ჩიქობავას დაუშვებლად მიაჩნია, რადგან ბრალდებითის ფუნქცია ქართულში შეიძლება დაეკისროს მხოლოდ მიცემითსა და სახელობითს. გარდა ამისა, ბრალდებითი ყოველთვის აღნიშნავს უმოქმედოს, პასიურს, ხოლო მოთხრობითი - მოქმედს, აქტიურს. იგი საკუთრივ ქვემდებარის ბრუნვას.

რამდენადაც მოთხრობითის გარდა ქვემდებარეს აქვს სხვა ბრუნვებიც, კერძოდ, სახელობითი და მიცემითი, მოთხრობითი ბრუნვის ფორმის მქონე სახელთა გადმოცემისას ქართულად მოსაუბრე თურქის მეტყველებაში თავს იჩენს წინააღმდეგობები. მან უსწრაფესად უნდა გააკეთოს არჩევანი და მოცემულ მომენტში გამოიყენოს სახელობითი, მიცემითი ან მოთხრობითი. ამ პრობლემას ენის შემსწავლელი ადვილად წყვეტს: მისთვის უფრო ნაცნობია სახელობითი ბრუნვის ფორმა, რომელიც უფრო მეტად ხვდება ყურს ენის შესწავლის საწყის ეტაპზე, და ირჩევს სახელობითს. მაგალითად, წინადადება *Ahmet bunu yaptı* - ქართულად უნდა ითარგმნოს ასე: *აჰმედმა ეს გააკეთა*, მაგრამ, სანამ თურქი კარგად ვერ გააცნობიერებს ქართულის მოთხრობით ბრუნვას, იტყვის: *აჰმედი ეს გააკეთა*. ვფიქრობთ, გაცნობიერების პროცესს უცხოელისთვის ართულებს ისიც, რომ სახელების შესწავლა უსწრებს ზმნის შესწავლას, მაშინ როცა ქართულში სუბიექტის (ქვემდებარის) ბრუნვა ზმნით არის შეპირობებული.

მოთხრობითი ბრუნვა ძირითადად გარდამავალ ზმნებთან იხმარება (ისიც ნამყო ძირითადის წყებაში) (არნ. ჩიქობავა 1998: 27). როგორც ცნობილია, გარდამავალი ზმნის გამოსაცნობად არსებობს რამდენიმე ხერხი: 1. შეეწყობა პირდაპირი ობიექტი; 2. სუბიექტი ბრუნვაცვალებადია; 3. წყვეტილში სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში დგას; 4. წყვეტილში (მრ. რ.)  $S_3$  პირის ნიშანი **-ეს** სუფიქსია; 5. III სერიაში ზმნა ინვერსიულია.

ამათგან ჩვენთვის საყურადღებოა მე-3 და მე-4 პუნქტები, რომლებშიც სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში დგას. მაგალითად: გააკეთა მან ის - გააკეთეს მათ ის; დაკეტა მან ის - დაკეტეს მათ ის; იპოვა მან ის - იპოვეს მათ ის... როგორც ვხედავთ, წარსული დროის მქონე დასახელებულ ზმნებში ყველა სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში დგას და ეს არის ერთ-ერთი ხერხი მოთხრობითი ბრუნვის გამოყენებისა. ამასთან ერთად ზმნის ძირითადი დროების (ახლანდელი, მომავალი, წარსული) გაცნობისას აუცილებელია უფრო მეტად გამახვილდეს ყურადღება მოთხრობითბრუნვიან კონსტრუქციაზე და წარსული დროის ფორმას თავზე დაეწეროს **მან** ნაცვალსახელი. პირველ ეტაპზე აქ შეიძლება ჩაერთოს დახეპირების მეთოდიც და ჩამოიწეროს ერგატიული კონსტრუქციის მქონე ხშირად გამოსაყენებელ ზმნათა ნუსხა (სწავლობს ის - ისწავლა მან, წერს ის - დაწერა მან, კითხულობს ის - წაიკითხა მან, ცხოვრობს ის - იცხოვრა მან, მეცადინეობს ის - იმეცადინა მან, ყიდულობს ის - იყიდა მან, ჭამს ის - ჭამა მან, სვამს ის - დალია მან, ალაგებს ის - დაალაგა მან, ამზადებს ის - მოამზადა მან...).

ქართული ენის შემსწავლელი თურქი ხშირად უშვებს შეცდომას **იცის (უწყის)** ზმნასთანაც. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფორმა აწმყოშია, სახელს მაინც მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი ერთვის. აღნიშნული ფორმის გამოყენებისას უნდა თქვან, მაგალითად, იამ იცის, მაგრამ ამბობენ: ია იცის... აქ გაცილებით მარტივად არის საქმე: უცხოელს უნდა ავუხსნათ, რომ ეს არის ერთადერთი (ან ორი) ზმნა, რომელთანაც ახლანდელ დროში უნდა გამოიყენოს მოთხრობითი. მაშასადამე, აქ არის ერთი გზა, **იცის (უწყის)** მან ზეპირად უნდა დაიმახსოვროს.

მომდევნო ეტაპზე, როცა ენის შემსწავლელი ქართული ზმნის უკეთ გააზრებას შეძლებს, მას შეიძლება მიეწოდოს მასალა დ. მელიქიშვილის I დიათეზიდან, რომელშიც მოცემულია ერგატიული კონსტრუქციის ზმნათა სტრუქტურა. I დიათეზაში გაერთიანებულია ორი სემანტიკური ქვეჯგუფი:

1. ავტოაქტიური (თვითმოქმედი) — სტრუქტურა: **R -0; ი-/უ-R [ე/ი]-0; პრევ.-R-ა-/ი-/უ-R-th.-0**; ნაკლული კონსტრუქციისა - არ შეიცავს პირდაპირ ობიექტს) [ის - მან; ის - მას; მან - მას];

2. აქტიური სუბიექტის შემცველი ზმნები, რომელთაგან ბრუნვაცვალეზადია — სტრუქტურა: **ა-/ი-/უ-R-0; ა-/ი-/უ-R- [ე/ი]-0; ა-/ი-/უ-R-th.-სუფ.-0**; კონსტრუქცია არასრულია [ის მას - მან ის; ისმასმას; მანმასის]:

სახელობითი: წუხს ის; წერს ის მას - I სერია

მოთხრობითი: იწუხა მან; დაწერა მან ის - II სერია.

ლაბილური კონსტრუქციის ავტოაქტიური ზმნების შინაგანი პირდაპირი ობიექტი ხან ამოტივტივდება, ხან იკარგება. მაგალითად: თამაშობს ის - თამაშობს ის მას, ლაპარაკობს ის - ლაპარაკობს ის მას, სწავლობს ის - სწავლობს ის მას... I დიათეზის ორივე ქვეჯგუფი აქტიურსუბიექტიანია, მოთხრობით ბრუნვაშია (დ. მელიქიშვილი, 2011).

• **წოდებითი**

არნ. ჩიქობავას მიერ შემოთავაზებულ ბრუნვათა რიგში წოდებითი არ იგულისხმება, მაგრამ წოდებითი ტრადიციულად ვითარების შექმნის მიზნით რჩება ბრუნვათა რიგში. იგი შედარებით ახალი წარმოშობისაა. წოდებით ბრუნვასთან დაკავშირებით ქართულ ლინგვისტიკაში მრავალი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებაა გამოთქმული. ზოგიერთი მკვლევარი მას მიიჩნევს დამოუკიდებელ ბრუნვად, ზოგი კი - არა. ამ პრობლემას ჩვენ აქ არ შევეხებით. ჩვენთვის ამჯერად უფრო მნიშვნელოვანია ის პრობლემები, რაც წოდებითის ფორმასთან დაკავშირებით უჩნდება ქართული ენის შემსწავლელ თურქულენოვან მოქალაქეს.

ქართულში წოდებითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა ძირითადად მიმართვა (მეგობარო! ექიმო!..). იგი ქმნის შესიტყვებასაც: ჩემო თავო; ძვირფასო ბავშვებო!..

თურქულ ენას არ გააჩნია წოდებითი ბრუნვა, თუმცა მიმართვის გამოსახატავად იყენებს სხვადასხვა საშუალებას, თავისებურ მიმართვის ფორმებს, თავაზიან გამოთქმებს. მაგალითად: **Hhocam** - ჩემო მასწავლებელო, **karde im** - ჩემო ძმა, **abla-** უფროსი და, **abi** - უფროსი ძმა, **hala-** მამიდა, **teyze-** დეიდა, **amca-** ბიძა, **brader-** ძმა (ინგლისურიდან შემოსული სიტყვაა), **beyefendi** - ბატონო, **hanımefendi-** ქალბატონო... **bakar mısın-** შემომხედეთ, თუ შეიძლება, **bir saniye** - ერთი წამი, **bir dakika** - ერთი წუთი. აქედან ზოგი (**bir saniye-** ერთი წამი, **bir dakika** - ერთი წუთი...) საერთოა ქართულისა და თურქულისთვის, ზოგი კი - განსხვავებული (**abla-** უფროსი და, **abi** - უფროსი ძმა...). აღნიშნულ ფორმათა გამოყენებისას გასათვალისწინებელია: უმცროს-უფროსობის (პატივისცემის), სქესის, თანამდებობის, ახლობლობის საკითხები...

ქართულში მასწავლებელს მიმართავენ წოდებით ბრუნვაში ჩასმული სიტყვით - მასწავლებელ-ო, თურქულში კი იმავე სიტუაციაში სიტყვა მასწავლებლო კუთვნილებითი ნაცვალსახელის გარეშე არ გამოიყენება -**Ö retmenim** (ჩემი მასწავლებელი). ამ სიტყვაში **-im** არის კუთვნილების ნიშანი. დასახელებულ მაგალითში აქცენტი იმაზე არის გადატანილი, რომ, ის მასწავლებელი, ვისაც მიმართავთ, არ არის ზოგადი და შენი მასწავლებელია. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მიმართვის ფორმები: **Arkada im-** ჩემი მეგობარი, **karde im** - ჩემი ძმა, **o lum-** ჩემი ვაჟიშვილი, **kızım** - ჩემი ქალიშვილი... თურქულ სინამდვილეში ამ ფორმების კუთვნილებითი ნაცვალსახელის გარეშე გამოყენება ხანდახან უხერხულობასაც იწვევს. მაგალითად, მასწავლებელს რომ მიმართონასე: **Ö retmen** (მასწავლებელი), ის იტყვის ან იფიქრებს: ჩემზე ხომ არ არის გაბრაზებული? რა ამაყი ბავშვი! როგორც ჩანს, ახლობლად არ მთვლის და ა.შ. თურქული ენით დაინტერესებული ქართველები სანამ ენას კარგად არ შეისწავლიან, მანამდე სულ კუთვნილებითი ნაცვალსახელის გარეშე იყენებენ ასეთ ფორმებს. და კიდევ: საინტერესოა სიტყვა მასწავლებელის შემოკლებული ვარიანტი მას. ასეთი ფორმები თურქულ ენაში არ გვხვდება.

ასევე საინტერესოა **abla, abi** ფორმების გამოყენება თურქულში, რაც ქართულისთვის უცხოა. ოჯახში, ახლობლებში არ შეიძლება უფროსს მიმართოთ პირდაპირ მისი სახელით, აუცილებელია წინ იყოს სქესის მიხედვით **abla, abi**. მაგალითად, **Mustafa abi-** უფროსი ძმა მუსტაფა, **Fatma abla** - უფროსი და ფატმა... ასევე უფროს პიროვნებას, რომელსაც იცნობთ, პატივისცემის გამო უნდა მიმართოთ **abla, abi** ფორმებით.

თურქულში ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვების გამოყენებისას, ვგულისხმობთ მამიდას, დეიდასა და ბიძას, ჯერ უნდა ითქვას სახელი, შემდეგ -რაც არის. მაგალითად, **Ahmet amca** - ახმედ ბიძა, **Ay e teyze** - აიშე დეიდა, **Hatice hala** - ჰათიჯე მამიდა... ქართულში კი ხშირ შემთხვევაში ან სახელს იტყვიან, ანდა მიმართვის ფორმებს მოიშველიებენ. მაგალითად, “მამიდა” ან “ნინო”...

თურქულში საინტერესოა მიმართვის ფორმები, რომელთაც მოფერებითი ელფერი აქვთ: **Bbalım** - ჩემი თაფლი, **ekerim** - ჩემი შაქარი, **güzelim-** ჩემი ლამაზი, **akıllım** - ჩემი ჭკვიანი, **bir tanem-** ჩემი ერთადერთი, **gülüm-** ჩემი ვარდი, **çiçe im-** ჩემი ყვავილი, **yakı iklim** - ჩემი სიმპათიური, **sultanım** - ჩემი სულთანი, **hayatım** - ჩემი სიცოცხლე... მართალია, ამ ფორმათა გარკვეული ნაწილი ქართულშიც არის, მაგრამ, ჩვენი აზრით, თურქულში მაინც უფრო განსხვავებულად იხმარება. მაგალითად, ქმარი თავის ცოლს

ეტყვის: „Sultanım bir saniye gelir misin? რომელიც ითარგმნება: ჩემო სულთანო, ერთი წუთით შეგიძლია მოხვიდე? აქ სიტყვა სულთანი გულისხმობს „გულის მპყრობელს“...

ქართულში წოდებითი ბრუნვა სამი ფაკულტატური ვარიანტითაა წარმოდგენილი: 1) ნულოვანი ალომორფი, 2)-**ო**, 3) -**ვ**. თანამედროვე სასაუბრო ქართულში ამათგან ძირითადად გამოიყენება ნულოვანი ალომორფი და -**ო**. პრობლემა უმეტესად იქმნება -**ო** ნიშნის გამოყენებისას. ქართულის შემსწავლელი თურქისთვის ძნელი აღსაქმელია წოდებითი ბრუნვა, სანამ დიდხანს არ დააკვირდება და არ გამოიყენებს ამა თუ იმ წინადადებაში. მაგალითად, როცა წოდებით ბრუნვაში ჩავსვამთ სიტყვა **ბატონს**, მივიღებთ ფორმას **ბატონო**. უცხოელს სასაუბრო ენაში ეს სიტყვა ხშირად ესმის **ბატონოს** ფორმით და ჰგონია, რომ აღნიშნული სიტყვა სახელობით ბრუნვაში არის და, როცა ვიღაც უფროსის შესახებ საუბრობს, ასე ამბობს ხოლმე: ბატონო გიორგი გუშინ წავიდა. წესით უნდა თქვას: ბატონი გიორგი გუშინ წავიდა (პ. ჩიმქე 2013: 70-71).

ასევე ზოგიერთი -**ო** ხმოვანზე დაბოლოებული სახელის (ნინო, დათო, ალექო...) გამო ჰგონიათ, რომ ყველა საკუთარ სახელს ბოლოს უნდა დაემატოს წოდებითი ბრუნვის ნიშანი -**ო**. მაგალითისთვის ავიღოთ -**ი**-ზე დაბოლოებული საკუთარი სახელები: გიორგი, ანი, აკაკი... ბრუნვის ნიშნების შესწავლის შემდეგ უმეტესი ნაწილი ამბობს გიორგო, ანო, აკაკო, რაც ქართულისთვის ყოველად მიუღებელია. საკუთარ სახელებთან თითქმის არ არსებობს პრობლემა, რადგან წოდებითში ნიშანი არ გამოიყენება: გიორგი, ანი, აკაკი, ლევან, მინდია, ნინო... თუმცა მოფერებით-ქნინობით სახელებთან ბოლოს არის -**ო**: ზურიკო, მაიკო, თინიკო... ამგვარ სახელთა გავლენაც აფერხებს ზოგჯერ თურქულენოვანთათვის წოდებითის სუფიქსის აღქმას.

ჩვენი აზრით, ქართული ენის შესწავლის დროს აღნიშნული პრობლემის თავიდან ასაცილებლად უცხოელს კარგად უნდა გავააზრებინოთ, რომ წოდებითი ბრუნვის ნიშნები სახელს დაერთვის ფუძისა და დაბოლოების მიხედვით, კერძოდ:

- ბოლოთანხმოვნიანები გაფორმებულია-**ო** ბრუნვის ნიშნით: მეგობარ-**ო**, ექიმ-**ო**, შვილ-**ო**...
- ბოლოხმოვნიანები (ორ- და მეტმარცვლიანები) -**ვ** ნიშნით ან დაბოლოების გარეშე: დედა-**ვ**//დედა, სამშობლო-**ვ**//სამშობლ-**ო**...
- ერთმარცვლიან ბოლოხმოვნიანებთან არის -**ო** ნიშანი: ძმა-**ო**, დღე-**ო**... ზოგ შემთხვევაში, განასაკუთრებით კი პოეზიაში, დასაშვებია -**ვ** დაბოლოება ( მზევ შინა და მზევ გარეთა... შდრ., მზეო, ამოდი, ამოდი );

- დაბოლოების გარეშეა -უ ბოლოზმოვნიანი ორმარცვლიანი სახელები: ბაბუ, ტაბუ...(http://lia24jumushadze.wordpress.com).

ამრიგად, ჩვენ შევეხეთ რამდენიმე პრობლემას, რომელთაც ვაწყდებით თურქულენოვანთათვის ქართული სახელის პარადიგმის სწავლებისას, შემოგთავაზეთ მათი დაძლევის გზების მხოლოდ მცდელობა და საკუთარი მოსაზრებები.

#### **დამოწმებული ლიტერატურა:**

**დ. მელიქიშვილი 2011** - დ. მელიქიშვილი, მეთოდოლოგიური პრობლემები ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში და მათი გადაწყვეტის გზები; იკე, XXXVIII, თბ., 2011;

**ჰ. ჩიმქე 2013-** ჰ. ჩიმქე, ბრუნვათა რაოდენობა ქართულსა და თურქულში (განსხვავებული და საერთო ბრუნვები და მათი ფუნქციები); საერთაშორისო კონფერენცია: თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება , ქუთაისი, 2013;

**არნ. ჩიქობავა 1998** - არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: თბ., 1998;

**Z. Korkmaz 2009** – Z. Korkmaz,Türkiye Türkçesi Grameri –Şekil Bilgisi, Türk Dili Kurumu Yayınları,Ankara, 2009;

http://lia24jumushadze.wordpress.com

**Rusudan Saghinadze** /Akaki Tsereteli State University/  
**Harun Çimke** /Asist. Prof., Recep Tayyip Erdogan University/

### **Problem of Turkish Speakers Studying the Name Paradigm in Georgian Language**

#### Summary

This article deals with the problems of expressing the forms of names in the speech of Georgian-speaking Turkish and vice versa, Turkish-speaking Georgian.

The number of cases differ in Georgian and Turkish languages. There are seven grammatical cases in modern Georgian language (Nominative, Ergative (Narrative), Dative, Genitive, Instrumental, Adverbial and Vocative) and eight in Turkish ( Nominative, Genitive, Dative, Accusative, Ablative, Locative, Vasita Hali – directly translated as an instrument (this case corresponds with Georgian Instrumental case), Esitlik hali (Lat. Ekvativ) equalizer – Adverbial.

Common cases for both languages are the following: Nominative, Dative, Genitive, Instrumental and Adverbial. We can distinguish different types of cases in both languages:

a) Grammatical cases that Georgian language has and Turkish doesn't. Such as, Ergative (Narrative) and Vocative;

b) Cases that Turkish language has and Georgian doesn't. Such as: Accusative, Ablative, Locative.

Ergative (Narrative) and Vocative cases are discussed in this work. These are the cases that Georgian language has and Turkish doesn't. The attempts are made to overcome the problems associated with the ways of their study.